



საქართველო ფურცელი


საქართველო

გაზეთის № 330

ლაგასტის № 59

კვირა, 12 ივლისი 1915 წ.

წყაღდიობა დასავლეთ საქართველოში



ადიდებული მდ. ხობის წყალი. სათავეში მდინარე ნაპირიდან გადავიდა და ოთხი ვერსის მანძილზე ყველაფერი წალეკა. სურათზე გადაღებულია დაბა ხობი, სადაც წყალი 2 1/2 ადლის სიმაღლე იყო და ყველა სახლში შვეიდა.

ღ რ ი ლ ე მ ს ი

დასრული თვალში

ქანდაკებად გარდაქმნილი,
უხმოდ ვუმზერ დახრილ თვალებს
და არ ვიცი, მათი ელვა
რას მომითხრობს, რას მავალებს?..

ვიშ!.. ქურდულმა გამოხედვამ
გაამქლავა დაფარული,
და წამწამნი აეუფუნდნენ:
„სიყვარული, სიყვარული!..“

ტურფავ!—გული აღარა მაქვს,
ვერ მოვიძღვნი ტრფობის ალებს,—
იგი მსხვერპლად მიეუტანე
სხვა, მაგ გვარად დახრილ თვალებს!..

ღ რ ი ლ ე

დროთა სიაში არის ორი დღე:
დღე სიყვარულის, დღე განშორების;
და როგორც ერთი, ისე მეორე,
სიმბოლო არის ჩემი ცხოვრების...

სიყვარულის დღე გუშინწინ ვნახე,
თრთოლვით გადმომცა წითელი ვარდი:
„არ დამიკნოო, შემინახეო“—
და მეც მივიღე, მეც არ დავზარდი!..

გუშინ კი ვნახე ლალატის დილა,
ფერ-მკრთალი იყო დასანახავად,—
გულის კარები დამიკაკუნა,—
კუბო მოჰქონდა და ამარხავად!

და ამ კუბოში ცივად ესვენა
სიყვარულის დღე გუშინწინდელი:
გულს ხელნი ჯვარად გადაეკვანძა,
ზედ დასჭკნობოდა ვარდი წითელი!..

რალას ვიზამდი?—გავიპე გული,
დავასაფლავე მის ნანგრევთ შორის,
ძეგლად დავადგი ჩემი ცრემლები,
ლამპრად აუნთე ფიქრი ამბორის...

ეხლა, ჩემს გულში სასაფლაოა,
განუსაზღვრელად ცივი და ბნელი,
და შიგ მარხია ჩემი ორი დღე,
დღე საამო და დღე სატირელი!..

ს. ფაშალიშვილი.



ქ.პ.პ.

გულუზვი ქველმოქმედი სალომე ბეჟანის ასული გურგენიძისა, რომელმაც ქართული გიმნაზიის ეკლესიის დასამთავრებლად შესწირა 2000 მანეთი, ღარიბ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოებას კი 10,000 მ. მამული შორაპნის მაზრაში.



† მსახიობი ა. ალექსიძე.



ქ.პ.პ.

ქ. მოსკოვის ქართულ ლაზარეთში მყოფნი დატრილნი ქართველნი ჯ.-კაცი და მათი მომვლელნი
1) ექიმი მ. ო. ზანდუკელი, 2) ქ-ნი ნოსავა, 3) ვ. მ. ჯაფარიძე.



ჯ.-კ. ვასო ახალკაცი ასოთ-ამწყობი (დატრილია).



პრაპ. ალექსანდრე ზაქ. როსტომაშვილი (მოკლულია).



საპ. ნესტორ ქორქია (დატ.)



პოდპრავ. იაკობ პეტრიაშვილი
(მოკლულია).
რაჭის მახრის სოფ. სხვათა მცხოვრები.

ხელოსანი

მხატვარ მ. თოიძეს.

I

ქ. ტფილისის დასავლეთის მხარეს მზე დღიურ მზერის შემდეგ ჩვეულებრივ გადახრილიყო, როს იმა მხრის ერთ ქარხანაში მუშაობა დასრულდა არ შეწყვეტილიყო.

ამ დღის ცხარე მზეს მოღლილობა ეტყობოდა, რადგან მწვავე სხივები მოდუნებოდა, და გამოიყურებოდა, ვით ფიცხი ხარის თვალი დღიურ მოხვნის შემდეგ.

ამ ჟამად ეს მზე ქარხანას მოჰფარებდა, მის მაღალ კედლებს აკრებილი სხივები ვერ შეუწვდენია, თუმცა რკინის კარების საკლი-ტულ ნაჭერებიდანა ოდნავ შეუჭრებოდა.

— მზემ გადიხარა და...

წაიფურჩუნა მოხუც დურგალმა, რა ზენას შეხედა, თითქო მის-გან მოეღოს ნუგეშსაო; და ას იყო მოდუნებული ხელიდან დაუშო ბელჩო, რა პატრონი თავზე წამოადგა.

— ჩვენი დიმიტრი, — შენიშნა მან გამგეს მიმართ, — ძალზე მოხუცებულია...

— მე... არა...

დაბნევით წაილულლულა დიმიტრიმ და ვით მანქანამა, ამოდ-რავა სამუშაოდ ხელი დურგალმა.

— ამის შესახებ მომავალზე...

უთხრა ქარხნის პატრონმა გვერდით მდგომ გამგეს მოხუც დურგლის არ გასაგონათა; თუმცა ხმა მაღლივაც რო ეთქვა იგი ვერ გაიგონებდა, რადგან ერთის ხელით ხერხს ამუშავებდა, ხოლო გონე-ბით კი: ბედს ემდუროდა, მოხუცებულებას ესაყვდურებოდა, ფიქ-რობდა...

— ბატონო! სურათი მოიტანეს. — მოახსენა კანტორის მსახურმა.

— ჩემს კაბინეტში ჩამოჰკიდეთ, — უბრძანა პატრონმა მსახურს, — რა სურათია, — შემდეგ მიმართა მან გამგეს აღტაცებითა, — რა ხე-ლოვნური... — ხოლო შესწყვიტა, რა შეამჩნია მოზარე ქარხნის ზართა-ნა, და საათს დახედა.

ქარხნის ზარი დაირეკა და მანქანის ხმაურობაც მისწყდა. პატ-რონი გამგით კანტორისაკენ წავიდა.

II

კანტორაში საანგარიშო ჩოთქის ხმაურობისა გამო ყურთასმენა აღარ იყო. ყოველი მოხელე აჩქარებული ანგარიშობდა წინ ქაღალ-დზე აღნუსხულ ჯამებსა; მათ შორის ზოგი კედელზე საათს მიხედავ-და, თითქო შეხედვით აჩქარებინებდა საათს მოძრაობას და დანიშ-ნულ დროს მიახწევინებდა; ხოლო, რა ამჩნევდა თავისუფალ დროს სწორეს, იგი მით უკმაყოფილებას ჩოთქის მარცვლების ძალზე გახ-მაურებითი გამოხატავდა.

შემოვიდა ქარხნის პატრონი, მას მოჰყვა გამგე და საანგარიშო ჩოთქის ხმაურობაც ჩვეულებრივ მიწყნარდა; მოხელეთა ერთი მხრივ ყურადღება თუ ანგარიშზე იყო მიქცეული, მეორეთი პატრონისა გამგესთან საუბრისათვისა ჰქონდათ მიჰყრობილი.

— წარმოიდგინე, — უსურათებდა პატრონი გამგეს, — ხელოსნე-ბის ბინა რო დგანან, ელიან დაქირავებას დღიურ სამუშაოდა... — აქ შესდგა და მიმართა მოანგარიშეთა უმფროს. — ჰო, დიმიტრის სრუ-ლი ანგარიში დაუშაბდე... — შემდეგ გამგეს წავლო ხელი, რომელიც ამ განკარგულების მნიშვნელობას ანიშნებდა გაკვირვებულ და მიუხ-ვედრედ მოანგარიშეთა უმფროს. — ჰო, აი, — წაიყოლა თან გამგე, — წარმოიდგინე იმ ხელოსნებთა შორის: მოხუცი, ხელში ხერხით, მხარ-ზე პატარა ხურჯინით, უყურადღებოდ დატოვებული, რომელიც სა-მუშაოდ არ მიჰყავთ მოხუცებულობისა გამო დაწუნებული... დიმიტ-რი, ჩემო! რა თვალებით შემოგცქერია უტყველი, შეკითხვით უკვე: — „დურგალი ხომ არა გნებავთ?“... მობეზრებული.

ამ დროს იგინი კაბინეტში შედიოდნენ, რომ მოანგარიშეთა უმფროსმა გულში გაივლო: — „თვით-კი თავისებაც არ ინდობს“... — და განაგრძო ანგარიში დურგალ დიმიტრასი.

— აი, აბა შეხედე? — მიუთითა მაგიდის თავით უკვე, ჩამოკი-დულ სურათზე, რომლის ქვეშ მხატვრის მიერ იყო წარწერა: „ხე-ლოსანი“... კარგა დაუკვირდი, განა მისი თვალები არ გეკითხება: — „დურგალი არა გნებავთ?“

— თანაც რა ნაღვლიანი, რა უნუგეშო მდგომარეობის გამო-მეტყველება აქვს. — შენიშნა გამგემ.

— მე ხშირად, — დაუმატა ქარხნის პატრონმა, — ხშირად შემ-ხვედრია ბინაზე მაგისტანა... დიახ, ძნელია, — ხმა მაღლივ და ხაზ გასმით განიმეორა მანვე, — ძნელია უმუშავრობა!..

— ოღონდაც, ბატონო, ოღონდაც... — წაილულლულა გაუბედა-ვით ახლად შემოსულმა დურგალ დიმიტრიმ და თავჩაღუნულმა, ვით დამნაშავემ. — მერე ჩემისთანა მოხუც...

— შენ, დიმიტრი! — მიმართა, რა შენიშნა გამგემ, ხოლო შედ-გა რადგან არც იცოდა რა ეთქო, და თუ მიმართა ესეც იპიტომ, რომ პატრონისათვის გაეგებინებინა მისი მოსვლა.

— ჰო... — მოუბრუნდა დიმიტრის პატრონი. — შენ, ჩემო დიმიტ-რი, ძალზე მოხუცებულიხარ... ეხლა დროა შენი დასვენებაა...

— მერე, ვინ დამასვენებს, ბატონო... — ოდნავ წაილულლულა, რაც პატრონმა მოხუც დიმიტრის ვერ გაიგონა.

— ჰო, ჩემო დიმიტრი, დღეს მიიღე რაც გერგება; ხოლო ორ-შაბათს, განკარგულებას მოვახდენ, მოგცენ სამი თვისა.

— მერე, მითხოვთ?! — ხმის კანკალით წამოიძახა დიმიტრიმ.

— რას იზავ, შენ ეხლა ისე ველარ მუშაობ... ეგ სამი თვისა ეხლა შენთვის კარგია...

გამგე დიმიტრის ანუგეშება, პატრონი კი სურათს „ხელოსანს“ შესცქეროდა; ხოლო მოხუც დურგალსა მომავალი სიმშვილი გულს უთუთქავდა.

— ბატონო... ძლიეს-ლა წამოიძახა მოხუც დურგალმა და დადუმებულმა, ვით უტყვემა, შეხედა პატრონს და თავის თვალთა მეტყველებითა, აი, რას ეუბნებოდა:

— „მე ჩემი ძალ-ღონე აქ შენთან ჩავლიე... ეხლა მოხუცებული სადღა წავიდე... ვინღა წამიყვანს სამუშაოდ, თუნდ ყოველ დღე ბი-ნაზე გავეშვდე... მერე და სალამობით რა მიუტანო ჩემი შვილის ობლებსა... რით-ღა შევმოსავ ქალ-ვაჟს ტიტვლებსა...“

ხოლო ქარხნის პატრონმა, რა შეხედა დურგალ დიმიტრის, — თვალი თვალს შეხედა, — ვით მგზავსი ჰპოვა, მას ჩააშტერდა; შემდეგ სურათს მან დააკცქერდა, ისევე დურგალს მოხედა და, ვითა სურა-თით „ხელოსანი“ — სა, აი, რა ამოიკითხა.

— „დურგალი არა გნებავთ?“

— კარგი, კარგი...

განიმეორა ქარხნის პატრონმა, გავიდა კანტორაში და მოახ-დინა განკარგულება.

— მოხუცი დურგალი დიმიტრი ქარხანაში დარჩება... დღიურ სამუშაოდ-კი ერთი მანეთი დაენიშნება...

— ნაკვლად შვიდი აბაზისა... ჩანიშნა მოანგარიშეთა უმფროს-მა დიმიტრის ანგარიში.

— ეს სურათი კი... განაგრძო ბრძანება ქარხნის პატრონმა. — სახლში გადაიტანეთ...

b. - .

ნუ გოგონათ თუთუნს

სცენა — მონოლოგი ერთ მოქმედებად.

ა. ჩეხოვისა.

მონოლოგი პირი:

ივან ივანიჩ ნიუხნი, ქმარი თავის ცოლის, რომელსაც სამუსიკო სკო-ლა და საქალებო პანსიონი აქვს.

სცენა წარმოადგენს ერთ-ერთ პროვინციის კლუბის ესტრადას.

ნიუხნი. (უღვაშ გაპარსული. გრძელი ქილვაშები (ბაკენი) აქვს. აცვია ძველი, გახუნებული ფხავი. ამაყად შემოდის, გაჭიმული,

საქართველო

თავს უკრავს საზოგადოებას და ქილგის ისწორებს) მოწყალენო ქალ-ბატონებო და ცოტა არ იყვას მოწყალენო ბატონებო (ქილგაშს იფხანს). ჩემს ცოლსა სთხოვეს მე აქ საქველმოქმედო მიზნით წამეკითხა რაიმე სახალხო ლექცია. რას იზამ? ლექცია—მაშ ლექცია იყვეს. ჩემთვის სულ ერთია. მე, რასაკვირველია პროფესორი არა ვარ და არც რაიმე სამეცნიერო ხარისხი მაბაღია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ავირე ოცდა ათი წელიწადი იქმნება დაუდგრომელად, შეიძლება ითქვას ჩემის ჯანმრთელობის საზიანოდ და სხვა, წმინდა—სამეცნიერო საკითხების გამოსარკვევად ვმუშაობ, ვფიქრობ და ხანდისხან ვწერ კიდევაც. აი წარმოიდგინეთ სამეცნიერო წერილები, ესე იგი არა, სამეცნიერო კი არა, ისე, უკაცრავალი პასუხია, თითქოს სამეცნიერო, სხვათა შორის ამ დღეებში დავწერე უზარმაზარი წერილი ამ სათაურით „ზოგიერთ მწერთა მავნებლობაზე“. ჩემს ქალებს ეს წერილი ძალიან მოეწონათ, მეტადრე ბალღინჯოებზე, მე კი ის წერილი წავიკითხე და დავფხრიწე. მაშ! სულ ერთი არ არის?! რამდენიც გინდა სწერე, მაგრამ მაინც „სპარსულ ფხენის“ გვერდს ვერ აუხვევ და უიმისობა არ იქმნება. ჩვენ როიალშიც კია ბალღინჯოები... დღეს ჩემს ლექციაში მინდა მოგახსენოთ, ეგრედ ვთქვათ, იმ მავნებლობაზე, რომელიც თუთუნს მოაქვს კაცობრიობისათვის. მე თვითონა ვწევ, მაგრამ ცოლმა მიბრძანა თუთუნის მავნებლობაზე დღეს ლექცია წამეკითხა და, მაშასადამე, სხვა რამეზე მეტია ლაპარაკი. მაშ რახან თუთუნზეა თუთუნზე იყვეს—ჩემთვის, ჰო ღმერთმანი, სულ ერთია; თქვენ კი, მოწყალენო ხელმწიფენო, გთხოვთ ჩემს დღევანდელს ლექციას სათანადო ყურადღებით მოექცეთ და დინჯად მოისმინოთ, თორემ ვინ იცის სხვა რამე გამოვიდეს. ხოლო ვისაც ეშინიან მშრალ, სამეცნიერო ლექციის მოსმენა, ვისაც არ მოსწონს, შეუძლიან მიბრძანდეს და არ მოისმინოს (ქილგის ისწორებს). მეტადრე ვთხოვ ყურადღებას აქ მეოფ ექიმებს, რომელთაც შეუძლიანთ ჩემი ლექციიდან ბევრი სასარგებლო ცნობა მიიღონ, რადგან თუთუნი, მის მავნებლობას მიუხედავად მედიცინაშიც იხმარება. ასე, მაგალითად, სათუთუნეში რომ ბუზი ჩასვთ, გაიფუდება, ალბად ძარღვების მოშლილობისაგან. თამბაქო, უმთავრესად, მცენარეა... როცა ლექციასა ვკითხულობ, ჩვეულებრივ მარჯვენა თვალს ვახამხამებ ხოლმე, მაგრამ ნუ იფიქრებთ თვალს ვისმე ვუშვებოდე, ეს ისე, დღეისაგან მომდის. საერთოდ ძალიან სუსტ ძარღვიანი ვარ, თვალის ხამხამი კი 1889 წელს 13 ენკენისთვის დავიწყე, სწორედ იმ დღეს, როცა ჩემს ცოლს, ცოტა არ იყვეს, მეოთხე ქალი ბაბაღე ეყოლა. ჩემს ცოლს სუყველა ქალი ცამეტში მიეცა. მაგრამ (საათს დასცქერის) რადგან დრო ნაკლები გვაქვს, ბატონებო, ლექციის საგანს ნუ გადაუხვევთ. უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემს ცოლს სამუსიკო სკოლა აქვს და კერძო პანსიონი, ესე იგი პანსიონი კი არა, ისე პანსიონისებური რამ. შინაურულად რომ ვსთქვათ, ცოლს ცოტა წუწუნი უყვარს, მაგრამ ცოტა რამ მაინც აქვს მიჩქმალული, ესე ორმოც ათასამდე, თუ ორმოცდა ათი ათასამდე, მე კი კაპეიკი არ გამაჩნია, ჰო ღმერთმანი, ბისტი არ მაბაღია ჰო, რაღა გავაქრელო! პანსიონში მე სამეურნეო ნაწილის გამგედა ვარ. ხორაგულობას ვყიდულობ, მოსამსახურეებს თვალს ვადევნებ, ვწერ გასავალს, რვეულებსა ვკერავ, ვყლუტ ბალღინჯოებს, ვასეირნებ ცოლის ფინიას, თავგებს ვიქერ... გუშინ საღამოს მზარეულ დედაკაცს ფქვილი და ერბო მივეცი, რადგან „ბლინები“ უნდა გამოეცხო. ერთის სიტყვით, დღეს, როცა ბლინები უკვე გამოცხვარი იყო, ჩემი ცოლი შემოვიდა სამზარეულოში და სთქვა, რომ სამ მოწყაფეს სასა დაუსივდა და ბლინებს აღარა სჭამენო. ამგვარად აღმოჩნდა, რომ რამდენიმე ბლინი მეტი გამოგვიცხო. ახლა რას უზამთ, მიბრძანეთ, ამ ბლინებს? ცოლმა ჯერ უბრძანა ჩაეტანათ ბლინები სარდაფში, მერმე ვადაიფიქრა, დაფიქრდა, დაფიქრდა და... მე მომიბრუნდა—ჰა, გასკდი შენ თვითონ, შეხეთქე ეს ბლინები, საფრთხობელაო. ის, როცა გუნებაზე არ არის, ასე მეძახის, ჰო ღმერთმანი—საფრთხობელა, ორჩხოლო ან ქაჯოვო. მერე, ერთი მითხარით, მე რა ქაჯი ვარ, ჰა? ის სულ ქეიფზე არ გახლავთ. მეც შევჭამე, შევჭამე კი არა გადავყლაპე დაუღეპავი, რადგან სიმშლით მუცელი მუდამ მიქოთქოთებს. გუშინ, მაგალითად, სადილი არ მაჭამა. „საფრთხობელა, ტყუილად გკვებავო“... მაგრამ (საათს დასცქერის) მაინც გავაბით და გზას ცოტა გადავუხვიეთ. ისეც დავუბრუნდეთ საგანს. თუმცა, მართალია, თქვენ უფრო სიამოვნებით მოისმენდით რომანსს, ან და რაიმე ამგვარ სიმფონიას ან არიას... (მღერის) „ბრძოლის ცეცხლში წარბს არ შევიხრით“... არ მახსოვს კი, ეს საიდან არის... სხვათა შორის დამავიწყდა მომხსენებინა, რომ ჩემი ცოლის სამუსიკო სკოლაში სამეურნეო ნაწილის გამგებლობის გარდა ვალად მდევს ვასწავლო მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, გეოგრაფია, ისტორია, სოლფეჯიო, ლიტერატურა და სხვა. ცეკვის, გალობის და ხატვის სწავლებაში ჩემი

ცოლი ცალკე საფასურს იღებს, თუმცა ცეკვასა და გალობასაც მევე ვასწავლი. ჩემი სამუსიკო სასწავლებელი „ძალთა მეხუთე მუკაშია“, № 13 სახლში. აი, ალბად ამიტომ ჩემი ცხოვრებაც ისეთი უმადურია, რომ № 13 სახლში ვცხოვრობთ. ჩემს ცოლს ქალებიც ცამეტში ეყოლა, სახლშიც ცამეტა კატა გყავს... ჰო და რაღა გავიქრელოთ!—მოსალაპარაკებლად ჩემს ცოლს ჰნახავთ სახლში ყოველს დროს, ბატონებო, როცა გნებავთ, სკოლის პროგრამა კი, თუ გნებავთ, იყიდება მეკარესთან ექვს შაურად ცალი (ჯიბიდან რამდენიმე წიგნაკს ამოიღებს). აი, თუ გნებავთ მეც დაგიტომბოთ. ცალი—ექვსი შაური! ვისა ჰნებავს? (პაუზა). არავისა? ჰა, კარგი, ცალი ერთი აბაზი... (პაუზა) საწყენია. ჰო, სახლი № 13! ხელი არაფერში მომდის, მოგხუცდი, გამოგჩერჩეტდი... აი ლექციასა ვკითხულობ, სახეზე მხიარული ვარ, ისე კი მსურს დავიღრიალა რაც ძალი და ღონე მაქვს, ან და გავფრინდე საითმე, ცხრა მთას იქით გადავიკარგო. ისეთიც არავინ არის, რომ შევიჩელო, ტირილიც კი მინდა, ტირილი... თქვენ მეტყვიან: ქალებიო. ჩემი ქალები? ველაპარაკები და ისინი კი მხოლოდ იკრიბებიან... ჩემს ცოლს შვიდი ქალი ჰყავს... ჰო, ღმერთმანი, შეიდა... არა, მოიცა, ვკონს ექვსი... (ცოცხლად) შვიდი, შვიდი! უფროსი, ანა, 27 წლისაა, უმცროსი ჩვიდმეტისა. მოწყალეო ხელმწიფენო! (აქეთ-იქით იხილება) უბედურია, ვარ, უბედურია, რეგვენად ვიქეც, არარად, მაგრამ არსებობდა თქვენ თქვენს წინ ერთ უბედნიერეს მამასა ჰხედავთ. არსებობდა ეს ასე უნდა იყვეს და მე სხვა გვარად ვერ ვიტყვი. ოჰ, რომ იცოდეთ, რომ იცოდეთ! ჩემს ცოლთან ჰჰ წელიწადი მიცხოვრია და, გეტყვით, ეს ხანი ჩემს სიცოცხლეში საუკეთესო დრო იყო, საუკეთესო კი არა, მაგრამ ისე საერთოდ. ერთის სიტყვით ისე გაიბრძნა, ვით ერთი ბედნიერი წუთი, თუმცა ეშმაკსაც უზიდა სულ. (აქეთ-იქით იყურება) თუმცა ის, ეტყობა, ჯერ არ მოსულა, აქ არსადა სჩანს და ყველაფრის თქმა შეიძლება... მეშინიან. საშინლად მეშინიან... მეშინიან, როცა ჩემი ცოლი მიყურებს. ჰო, იმას მოგახსენებდით: ჩემი ქალები აქამდე ალბად იმიტომ ვერა თხოვდებიან, რომ შორცხვები არიან, იმიტომაც, რომ მათ კაცები ვერსადა ჰხედავენ. საღამოების გამართვა ჩემს ცოლს არა სჯრს, სადილად არავისა ჰპატიჟობს; ძალზე ძუნწია, ბრაზიანი, აშარი, ამიტომაც არავინ გვეკარება, მაგრამ... ჩუმიდ გეტყვით (სცენის პირად წარსდგება)... ჩემი ცოლის ქალებს დიდ უქმეებში თავიანთ დეიდა ნატალია სემიონოვნასთანა ჰნახავთ, აი იმასთან, ქარები რომა აქვს და ისე, შავ წინწკლიან, ყვითელ კაბაში რომ დადის, თითქოს აბანოს ჭია დაჰხვევიაო. იქვე საუბრობენ ხოლმე. ხოლო როცა ჩემი ცოლი იქ არ არის, ესეც შეიძლება... (თითს იკრავს ყელზე). უნდა გითხრათ, ერთი ჭიკა მათროპს ხოლმე და კარგ გუნებაზედა ვდგები, მაგრამ ამასთანავე ისე მომავწება სევდა, რომ კელარავიწერთ. ძველი დრო მაგონდება, ახალგაზრდობა და მინდა, არ ვიცი რად, მინდა გავიქეც. ოჰ, თქვენ არ იცით როგორ მინდა ხოლმე! (გატაცებით) მინდა გავიქეც, მივაგლო ყველაფერი და გავიქეც, გავიქეც კისრის ტეხით... სად მერე? სულ ერთია სადაც... ოღონდ გავიქეც სადაგელ, წუპაკ, უაზრო ცხოვრებას, ჰველ, საბრალო რეგვენად რომ ვადამაქცია, ძველ, საბრალო სულელად, გავიქეც იმ გამოთაყვანებულ, დაწვრილმანებულ, ბოროტ, ბოროტ, ბოროტ ძუნწს დედაკაცს, იმ ჩემს ცოლს, რომელმაც მაჭამა ჰჰ წელიწადი, გავიქეცე მუსიკას, სამზარეულოს, ცოლის ფულებს, გავიქეცე ყველა ამ სისულელესა და უგვანობას... და გავჩერდე სადმე შორს, შორს მინდვრად, და ვიდგე ხესავით, ბოძივით, ბოსტნის საფრთხობელასავით, ვიღვე ფართე კის ქვეშ და ვუმზერდე მთელი ღამე, როგორ დაგცქერის ზემოდან მშვიდი, ნათელი მთვარე და დავიფიწყო, დავიფიწყო... ოჰ, როგორა მსუოს არაფერი მახსოვდეს!... როგორ მინდა ჩამოვიუხრიწო ეს სადაგელი, ძველი ფრაკი თუ რაცღა ჯანაბაა, ამ ჰმ წლის წინ ჯგრის წერაზე რომ მქონდა წამოცმული... (გაიშვლებს ფრაკს) რომლიანიც ვკითხულობ ხოლმე ლექციებს საქველმოქმედო მიზნით... აჰა, ესეც შენ! (ფეხით სრეს ფრაკს) ესეც შენ, ესეც შენ! დავებრდი, დავსაწყლდი, როგორც ეს ზურგ გადაცვეთილი, გაქუტული ქილგით... (ზურგს უჩვენებს). არაფერი მინდა, არაფერი! მე უკეთესი ვარ, სუფთა; ოდესღაც ჯეილი ვიყავი, ჭკვიანი, ვსწავლობდი უნივერსიტეტში, ვოცნებობდი, თავს კაცად ვთვლიდი... ეხლა აღარაფერი მინდა! აღარაფერი, მოსვენების გარდა, მოსვენების... (ცალ მზარეზე გაიხედავს და ფრაკს სწრაფად იცვამს). გარნა კულისებში ჩემი ცოლი სდგას... მოსულა და მე მეღის იქ... (საათს დასცქერის). დრო უკვე გასულა... თუ გკითხოთ რამე, თუ ღმერთი გრწამთ უთხარით, რომ ლექცია იყოთქო... რომ საფრთხობელას, ესე იგი მე, ლირსულად ეჭირა თავითქო (გვერდზე გაიყურება, ახველებს და აქეთ იცქირება... (ხმა მაღლა) ამიტომ რომ რადგანაც თამბაქო დიდ მხამს შეიცავს, რომელზეც მე ეხლა მოგახსენებდით, ნურაფრის გულისთვის ნუ მოსწევთ თუთუნს... იმედი უქნება, ცოტა არ იყვეს, რომ ეს ლექცია „თუთუნის მავნებლობაზე“ სარგებლობას მოგიტანთ. მე ყველაფერი ვსთქვი. Dixi et animam le vavi! (თავს უკრავს და ამყად, გაქიძული მიდის).

სანგანიძე.